საქმე 3/717

საქართველოს სახელით

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

5 ივნისი 2007 წ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე
სხდომის მდივანი თამარ მეშველიანი

მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს გამგეობის თავმჯდომარე ნინო გუჯარაიძე, წარმომადგენელი რუსუდან მჭედლიშვილი, კახაბერ კახაბერი

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, წარმომადგენელი ვეფხვია გრიგალაშვილი

მესამე პირები საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, წარმომადგენელი თეა პარუნაშვილი, ნინო მუსელიანი

სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტო, „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-ი (არ გამოცხადდნენ)

დავის საგანი: საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2007 წლის 6 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს გამგეობის თავმჯდომარე ნინო გუჯარაიძემ და მისმა წარმომადგენლებმა რუსუდან მჭედლიშვილმა და კახაბერ კახაბერმა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ 2006 წლის 25 დეკემბერს წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივებისა და შპს „ვარციხე 2005"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის შპს „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-ისათვის გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულებების ასლების მოთხოვნის მიზნით.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ" 2007 წლის 8 იანვარს მიიღო პასუხი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან, რომლის თანახმად, შპს „ვარციხე 2005"-ი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის ნასყიდობის თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და მისი ასლის გაცემაზე საჭიროა „მყიდველის" წერილობითი თანხმობა, რის თაობაზეც შპს „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-ისადმი გაგზავნილა სამინისტროს წერილობითი შეტყობინება, ხოლო სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივების გასხვისება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 5 იანვარს საქართველოს ეკონომიკური

რომ „სასტუმრო მერიოტში“ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა შპს „G.M Georgian Manganeze Holding Limited“-ის ხელმძღვანელს საკუთრების მოწმობა გადასცა, რომლის მიხედვით ბრიტანული კომპანია სს „გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“, სს „ჭიათურმანგანუმისა“ და შპს „ვარციხე 2005“-ის საბოლოო მფლობელი გახდა“.

2007 წლის 17 იანვარს, ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ“ განმეორებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სადაც მოითხოვა შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 % წილის ნასყიდობის თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „G.M Georgian Manganeze Holding Limited“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დოკუმენტის იმ ნაწილების გადმოცემა, რომელიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, მითითებას იმ პირზე, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველს და გასაიდუმლოების ვადას. ასევე, პრივატიზების რა ფორმის გამოყენებით, ვის მიერ გასხვისდა სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივები.

2007 წლის 6 თებერვალს მოსარჩელეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ უარი ეთქვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას სამართლებრივად ამყარებს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონზე, ზოგადი ადმინიტრაციული კოდექსის 33-ე, 37-ე და მე-40 მუხლებზე და მიაჩნია, რომ ერთადერთი ორგანო, რომელიც სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახორციელებს, არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და შესაბამისად, ინფორმაცია, თუ სახელმწიფო ქონების რომელი ფორმით დ ვის მიერ მოხდა სს „ჭიათურმანგანუმის“ გასხვისება, აუცილებლად უნდა ქონდეს მას.

განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალოს საჯარო ინფორმაციის გაცემა, კერძოდ, 2007 წლის 5 იანვრის ხელშეკრულების ასლის გაცემა, რომლითაც „G.M Georgian Manganeze Holding Limited“-ს გადაეცა სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივები.

2007 წლის 1 მაისის საოქმო განჩინებით სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტო საქმეში ჩაერთო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო „G.M Georgian Manganeze Holding Limited“-ი და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით.

2007 წლის 5 ივნისის სასამართლოს მთავარ [illegible] მოსარჩელემ სარჩელს მხარი დაუჭირა და მოითხოვა მისი სრულად დაკმაყოფილება.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა სარჩელს მხარი არ დაუჭირა და მიუთითა, რომ სს ჭიათურმანგანუმის“ აქტივების გასხვისება არ მომხდარა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ, შესაბამისად, ხელშეკრულება, რომლის ასლის გაცემასაც ითხოვს მოსარჩელე, სამინისტროს არა აქვს.
მესამე პირი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების

თბილისის მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დ სს „ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების მმართველის წინადადება ჭიათურის მანგანუმის საბადოს სარგებლობის უფლებისა. დ სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივების ერთობლივად რეალიზაციის თაობაზე. აქტივების რეალიზაცია განახორციელა გაკოტრების მმართველმა თავად, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო პასუხისმგებლები იყო ლიცენზიის ფარგლებში.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მესამე პირები სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტო და „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-ი, სხდომის დღე მათთვის ცნობილ იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების დაცვით და არც რამე საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26[1] მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საქმე განხილული იქნა მათი დასწრების გარეშე.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა წარმოდგენილი სარჩელის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციულ დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს".

საქმის გარემოებებით დადგენილია, რომ 2006 წლის 25 დეკემბერს №04/09-12 წერილით მოსარჩელე ამხანაგობა „მწვანე ალტერნატივის" აღმასრულებელმა დირექტორმა წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სადაც მოითხოვა სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივებისა და შპს „ვარციხე 2005"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-ისათვის გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულებების ასლები.

2007 წლის 8 იანვრის №21/3002/9-6 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივების გასხვისება საქართველოს ეკონომიკური განვიტარების სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა.

2007 წლის 18 იანვრის №04/09-15 წერილით მოსარჩელემ მოსთხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, სახელმწიფო ქონების პრივატიზების რა ფორმის გამოყენებით და ვის მიერ გასხვისდა სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივები, ასევე მოითხოვა ხელშეკრულებების ასლები, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2007 წლის 5 იანვარს „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-თან გაფორმდა მისთვის სს „ბ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის

ფეროშენადნობთა ქარხნის", სს „ჭიათურმანგანუმისა" და შპს „ვარციხე 2005" ის მფლობელობაში გადაცემის თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 6 თებერვლის №21/3092/9-6 წერილის თანახმად, მოსარჩელეს განმეორებით ეცნობა, რომ შპს „ვარციხე 2005" -ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 %-ის ნასყიდობის თაობაზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და „G.M Georgian Manganeze Holding Limited"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და მისი ასლის გაცემაზე საჭიროა მყიდველის წერილობითი თანხმობა, ხოლო, რაც შეეხება „გ. ნიკოლაძის სახელობის ზუსტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის", სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივების გასხვისებას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აღნიშნული არ განხორციელებულა.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას". კონსტიტუციის 41-ე მუხლი ყველა მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმციას აწესებს, ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი, ხოლო საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულება დადგენილია ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას. სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ამ მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ნარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას–ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას–გასცეს მის ხელთ [illegible] ინფორმაცია.

საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ [illegible] აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ოფიციალური

დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო-და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოხამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია".

„ჭიათურის მანგანუმის საბადოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისა დ სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივების გასხვისების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 აგვისტოს №404 განკარგულების თანახმად, მოწონებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დ სს „ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების მმართველის წინადადება ჭიათურის მანგანუმის საბადოს სარგებლობის უფლებისა და სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივების ერთობლივად რეალიზაციის თაობაზე. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაეკალა, რომ უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვა.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაცია, რომელიც რაიმე ფორმით უნდა ჰქონოდა დაცული, მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, „ჭიათურის მანგანუმის საბადოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისა დ სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივების გასხვისების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 აგვისტოს №404 განკარგულების ან სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე არ დასტურდება.

ამასთან, მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია ის გარემოება, რომ სს „ჭიათურმანგანუმის", რომელიც იმყოფებოდა გაკოტრების რეჟიმში, აქტივების რეალიზაცია განახორციელა სს „ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების მმართველმა.

ამდენად, მოპასუხის მიერ გაცემული პასუხი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საქმეში არსებული მტკიცებულებებით მოპასუხის მიერ გაცემული უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოსარჩელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არ ლახავს, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2, მე-12, 24-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-ე 244-ე, 247-ე, 249-ე, 257-ე, 364, 369-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოსარჩელის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

2 სახელმწიფო ბაჟი დარჩეს უცვლელად.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეების დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის განმავლობაში სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (თბილისი, სარაჯიშვილის ქ.1ა).

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძე